ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4332624

ნომერი: AR1652524

თარიღი : 26.12.2018

გაცემის თარიღი : 10.01.2019

გაცნობის თარიღი : 10.01.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეგობრობის პარკის დასაწყისში;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ქიმუცაძე პ/ნ 53001007804
- ლაილაშის 7

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი NAR1652524 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2009 წლის 13 აპრილის N01/439 ბრძანებით ქ. თბილისში, „დირსიჭალის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შეთანხდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2010 წლის 14 მაისის N01/932 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მისამართზე შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2011 წლის 08 აპრილის N01/708 ბრძანებით კვლავ შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

2011 წლის 30 ივნისის N01/1617 ბრძანებით ქ. თბილისში, „დირსიჭალი“- ს მიმდებარე ტერიტორიაზე შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმის (N01/439; 13.04.09წ) კორექტირებული პროექტი.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

---

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge